

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №12

ქ. გარდაბანი

24 ოქტომბერი 2025 წელი 12⁰⁰ სთ. 30 წთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი:

სამირ ხიალოვი	ზურაბი კორახაშვილი
ზაზა ონიანი	ანი მანჩხაშვილი
ვუგარ მამედოვი	კამრან ბაბაევი
დავით ჭინჭარაული	შახადატ მეხრაღიევი
ზურაბი ბენდელიანი	ფლორა ასკაროვა
რასიმ ისაევი	მაია შამედოვა
ბეთქილი კახიანი	ლაშა ქართლოსიშვილი
ისლამ მამედოვი	ზაბიტ მამედოვი
სახმან მირზოევი	გუსეინკულო მუსაევი
თამარ ხაჩიძე	აბდულალი იბრაგიმოვი
ლევან ნიჟარაძე	ლია მეტრეველი
მირზა მირზოევი	
თორნიკე ქავთარაძე	
დავითი ებილაშვილი	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის მოადგილე - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) სტაჟიორები: ქრისტინა ნიგურიანი და თეა ქუთათელაძე;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგი მამუკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი-ბესიკი მაისურაძე;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური მართვისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მეორე რანგის სპეციალისტი - ნესტან ქურასბედიანი;

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, 2025-2030 წლების, სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების ლუკა კვანჭიანისა და გიორგი მათიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

5. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, 2025-2030 წლების, სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების ლუკა კვანჭიანისა და გიორგი მათიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

5. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25

წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ვინაიდან მომხსენებელი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შალვა გურულიშვილი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა - ბესიკ მაისურაძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განსახორციელებელია პროექტების ცვლილებები.

ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულების თანახმად გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო 28,160 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლებისთვის ბრიკეტების შესაძენად.

სატენდერო ეკონომიებისა და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად გამოთავისუფლდა 323,266 ლარი. შემცირდა საპროექტო სამუშაოების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა - 200,000 ლარით. შემცირდა ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველობისა და ინსპექტირებისთვის გამოყოფილი თანხა - 80,000 ლარით. შემცირდა ქსელებზე დაერთებასა და მონტაჟთან დაკავშირებული ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხა - 40,000 ლარით. ამოღებულ იქნა პროექტი - სოფ. ხაშმში მზის სადგურის მშენებლობა - 150,000 ლარი;

სულ 793,266 ლარი გადანაწილდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების პროექტის საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების შესაბამისად არსებული დავალიანების და სესხის დასაფარად:

- თანადაფინანსების დავალიანება - 500,000 ლარი;
- ძირი თანხა - 191,863 ლარი;
- დარიცხული პროცენტი - 101,403 ლარი;

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №12 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი 2.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, 2025-2030 წლების, სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

ვინაიდან მომხსენებელი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური მართვისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი არ იმყოფებოდა სხდომაზე, საკრებულოს წევრებს განკარგულების პროექტი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, 2025-2030 წლების, სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - წარუდგინა გარდაბნის

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური მართვისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მეორე რანგის სპეციალისტმა - ნესტან ქურასბედიანმა და განმარტა, რომ საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, მუნიციპალური ნარჩენების პრევენციის, ნარჩენების მართვისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზანს წარმოადგენს: ნარჩენების პრევენციის სტრატეგიის მომზადება; გატარებული ღონისძიებების შესაძლო გავლენისა და დამატებითი ინფრასტრუქტურული საჭიროებების შეფასება; ნარჩენების შეგროვების პროცესში, ნაგავმზიდების მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების გათვალისწინება, პრევენციისა და რეციკლირების სხვადასხვა სცენარისთვის.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

მუნიციპალური ნარჩენების პრევენციისა და მართვის ოპტიმიზაცია; მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების გამართული სისტემის დანერგვა; ასევე, მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა.

პროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად თითოეული მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმა. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება; ასევე, მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.

ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით მომზადდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის და სამოქმედო გეგმის პროექტი (2025-2030 წლებისთვის), რომელიც მოიცავს მუნიციპალური ნარჩენების პრევენციის, ნარჩენების წყაროსთან სეპარირების და შეგროვების სტრატეგიასა და შესაბამის წლებზე გაწერილ სამოქმედო გეგმას.

უკანასკნელ წლებში, ნარჩენების მართვა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, ეს დარგი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქვეყანაში. საქართველოში დღეს არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემები ძირითადად ისევ ნაგავსაყრელებზეა დამოკიდებული, სადაც ბიოდეგრადირებადი ნარჩენების უდიდესი ნაწილი მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად ნაგავსაყრელებზე ხვდება, რაც იწვევს ამ ობიექტებიდან ნაჟური წყლისა და სათბურის აირების ემისიების წარმოქმნას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მოხდა საქართველოს ნარჩენების მართვის კანონმდებლობის მაქსიმალური დაახლოება და

ჰარმონიზება ევროკავშირის ნარჩენების მართვის კანონმდებლობასთან და ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, ქვეყანამ იკისრა ვალდებულება დეტალური ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი პრაქტიკაში განხორციელებასთან დაკავშირებით, რაშიც მნიშვნელოვანი და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად - სავალდებულოა თითოეული მუნიციპალიტეტის ჩართულობა.

იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომელსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის დამტკიცება (გამოცემა):

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის შესაბამისი დანახარჯების გაწევას გრძელვადიან (რამოდენიმე წლიან 2030 წლამდე) პერიოდში ეტაპობრივად. თუმცა მოცემულ მომენტში ვერ იქნება ზუსტად განსაზღვრული, განკარგულების მიღება რა ზეგავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №86 - გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, 2025-2030 წლების, სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი 3.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების ლუკა კვანჭიანისა და გიორგი მათიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების ლუკა კვანჭიანისა და გიორგი მათიაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად

შემოვიდა საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 2 ოქტომბრის №224 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე, ბულგარეთში (ალბენაში) გამართულ 2025 წლის მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატზე და პარა-ჩემპიონატზე, საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ნაკრების სპორტსმენებმა გარდაბნის მუნიციპალიტეტიდან:

1. ლუკა კვანჭიანმა (პ.ნ.) 55 კგ. წონით კატეგორიაში 18 წლამდელებში, მარჯვენა ხელში დაიკავა პირველი საპრიზო ადგილი და მოიპოვა ოქროს მედალი, მარცხენა ხელში დაიკავა მეორე ადგილი და მოიპოვა ვერცხლის მედალი.

2. გიორგი მათიაშვილმა პარა-ნაკრები, მხედვ.კატეგორია, (პ.ნ. +100 კგ. წონით კატეგორიაში მარცხენა ხელში დაიკავა მესამე ადგილი და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა, ხოლო გიორგი მათიაშვილის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -25

წინააღმდეგი - 0

მიღებულია განკარგულება №87 **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების ლუკა კვანჭიანისა და გიორგი მათიაშვილის დაჯილდოების შესახებ.**

საკითხი 4.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის 2025 წლის 6 ოქტომბრის №10-02 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 22-28 სექტემბერს, მალტაში გამართულ ევროპის კლასიკურ ჩემპიონატზე წოლჭიმში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა

სოფიკო კვანჭიანმა, (პ.ნ.:) 69 კგ. წონით კატეგორიაში - დიდებში, შედეგით 120 კგ. დაიკავა პირველი ადგილი და გახდა ევროპის ჩემპიონი, მისი მწვრთნელია შალვა აკოფაშვილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 3000 (სამი ათასი) ლარისა, ხოლო მწვრთნელის - შალვა აკოფაშვილის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარისა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

მიღებულია განკარგულება №88 - გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ.

საკითხი 5

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჭარაძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება განსახილველი განკარგულების პროექტის მიხედვით და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული 2025 წლის ოქტომბრის თვის ხარჯები დანართის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -25
წინააღმდეგი - 0

მიღებულია განკარგულება №89 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -25
წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, საკრებულოს წევრმა, ლია მეტრეველმა საკრებულოს წევრებს გააცნო „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის თანახმად, გაჩნდება შესაძლებლობა, რომ საჯარო სკოლას მიენიჭოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პირის სახელი. კერძოდ, ზემოხსენებულ ბრძანებაში მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატება შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პირის სახელი, რომლის სამსახურებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა საზოგადოებრივი წესრიგის/სხვისი სიცოცხლის/ჯანმრთელობის/ქონების/ზუნებრივი რესურსების/სახელმწიფო ინტერესების დაცვა ან საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება.“

საკრებულო მიესალმება და მხარს უჭერს აღნიშნული ცვლილების განხორციელებას, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანია იმ პირთა სახელის უკვდავსაყოფად, რომლებმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სახელმწიფო ინტერესების დაცვას შესწირეს თავი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ გედეჭაური